ხელშეკრულება №23
შესყიდვის შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

ქ. გორი 25 თებერვალი 2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი“), მისი დირექტორის გია ისიანი სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „გორმედი“ (ს/კ 417876711) მისი დირექტორის გივი სვანაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვხელმძღვანელობთ რა საქართველში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სასწრაფო სამედიცინო მომსახურების (CPV85143000) შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ქ. გორში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე (გურამიშვილის №5) სასწრაფო სამედიცინო მომსახურაბა. მომსახურება გაწეული უნდა იქნას ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ის 2019 წლის გასამართ ეროვნული ლიგა-3 ჩემპიონატის თამაშებზე და ამხანაგურ თამაშებზე (სულ 20 თამაში). ერთ ჩატარებულ საფეხბურთო მატჩზე სასწრაფო სამედიცინო ეკიპაჟის მომსახურების ღირებულებაა 150 (ასორმოცდაათი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. შესყიდვის ობიექტის მომსახურების გაწევისა და მიწოდების ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ის მიერ სასწრაფო სამედიცინო ბრიგადა 1 (ერთი) დღით ადრე იქნება ინფორმირებული გასამართი ყველა თამაშის თარიღზე, დროსა და თამაშის ჩატარების ადგილმდებარეობაზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტესი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებისა.

7.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი. გურამიშვილის ქ.5.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)სასწრაფო–სამედიცინო ბრიგადა აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი პრეპარატებით და აღჭურვილობით.(საკაცე)

ბ) სასწრაფო –სამედიცინო ბრიგადა უნდა გამოცხადდეს კლუბის მიერ წინა დღით მითითებულ სტადიონზე შესაბამის დროს და მისამართზე 15 წუთით ადრე.

გ)სასწრაფო სამედიცინო ბრიგადა უნდა იმყოფებოდეს თამაშის დამთავრებამდე.

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის დაგვიანების შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება 1000 ლარით. არ გამოცხადების ან თამაშის მიტოვების შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილი ვერდიქტის შესაბამისად.

9.2. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ,აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი.

9.3.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
ფეხბურთის კლუბი გორი“
მისამართი : გორი, გურამი|შვილის ქ. №5
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22
ს/კ 417874973

დირექტორი გია სიანი

„მიმწოდებელი“

შპს „გორმედი“
მისამართი ქ.გორი ცხინვალის გზ.№14
საბანკო რეკვიზიტები სს საქართველოს ბანკი
ცენტრალური ფილიალი
კოდი BAGAGE22
ანგ. GE43BG0000000279131601
ს/კ 417876711

დირექტორი გივი სვანაძე

Givi Svanadze

Digitally signed by Givi Svanadze
Date: 2019.02.25 13:50:30 +04'00'